













# ფინიშის სფორზა

დასასრულს უახლოვდება ამერიკელების რესპუბლიკების პირველობა ჰადრაკში. 13 ტურის შემდეგ თბილისელ ოსტატობის კანდიდატს — თამაზ ტაბატაძეს 8,5 ქულა აქვს და ჩერჩვობით IV ადგილზეა. მას დარჩენილ ორ ტურში 1,5 ქულის ალბა სჭირდება ოსტატობის ნორმის (10 ქულა) შესასრულებლად. იმედია, ტაბატაძე კარგად გაართმევს თავს ამ ამოცანას.

შეჯიბრებას კი 10-10 ქულით სათავეში უდგანან არტაშ მინასიანი (სომხეთი) და როსტისლავ კორსუნსკი (აზერბაიჯანი). მათ 9 ქულით კვალში მიჰყვება მსოფლიო ჩემპიონი „კადეტთა“ შორის ვლადიმერ აფთიანი (სომხეთი).

დედაპალაქის ვაჟთა 59-ე ჩემპიონატში წარმატებით გამოდის ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სინეინრო-ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გივი გოგიჩაშვილი. იგი 13 ტურის შემდეგ 9,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა ოსტატი იური ჩიქოვანი და მისი შედეგები გაუქმდა. ამით განსაკუთრებით დაზარალდა დავით ლობჯანიძე, რომელსაც ჩემპიონატში მოგებულ ქონდა პარტია. ახლა იგი 9 ქულით ხეიან სუპერპატიშვილთან და ვია ციტიშვილთან ერთად II-IV ადგილებს იყოფს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ჩემპიონატში ოსტატ ქეთევან კახიანის კარგი თამაში. მას ჩერჩვობით 8 ქულა აქვს და დავით პაქაშვილის (8,5 ქულა) შემდეგ VI ადგილზე იმყოფება. შეჯიბრების დამთავრებამდე 5 ტურია დარჩენილი.

პასილ ვაშაძემ.



ჩემპიონატის სფორზის სპეციალისტთა რიგებს მოულოდნელად გამოავლინა სახაიდარო ნინოზოშვილი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სსრ კავშირის სფორზის ოსტატი, რესპუბლიკის მრავალჯერ ჩემპიონი და პრიზიორი, სსრ კავშირის ხალხთა სპორტის დეპარტამენტის მამულტ მინიშვილის ძე მარეხაშვილი.

## სტატისტიკა, სტატისტიკა...

სსრ კავშირის განვლილ, 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატში თბილისის დინამოელებმა პირველ ტიმიში 10 ბურთი გაიტანეს და საკუთარ კარშიც ასევე, 10 ბურთი მიიტანეს. აქედან გუნდმა 7 ბურთი საკუთარ მინდორზე გაიტანა, ხოლო 3 — სტუმრად, 2 საკუთარ მინდორზე გაუშვა, — 8 მეტოქისაზე.

შეორე ტიმიში დინამოელებმა 21 ბურთი გაიტანეს, საკუთარ კარში კი 30 მიიტანეს. აქედან გუნდმა 16 საკუთარ მინდორზე გაიტანა, 5 — მეტოქისაზე, ხოლო 13 ბურთი საკუთარ მინდორზე გაუშვა და 17 — სტუმრად.

განვლილ ჩემპიონატში თბილისის „დინამომ“ ვერც ერთ გუნდთან ვერ შეძლო 4 ქულის აღება, თვითონ კი ორივე წრის მატჩები წააგო კიევის „დინამოსთან“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ და ვილნიუსის „ჟალგირისთან“.

50-ე საკავშირო ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს იმ მატჩებში, სადაც მსაჯობდა ი. ხობრიაკოვი (იოშკარ-ოლა) — 33.

ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი ფეხბურთელებს უჩვენა ლენინგრადელმა მსაჯმა გ. გალიკოვმა — 17.

ერთ მატჩში ყვითელი ბარათი ორჯერ არ უჩვენებიათ, წითელი ბარათი კი საერთოდ არ უხმარიათ მოსკოველ ა. სპირინს, ლენინგრადელ კ. დორონინს და თბილისელ ვ. მიმინოვილს (მხედველობაში გვეყავს ის მსაჯები, რომლებიც ხუთჯერ და მეტჯერ იყვნენ არბიტრებად).

პაატა ბუჩია. ხობის რაიონი, სოფ. ხეთა.

## მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ ვინ რას ფიქრობს?

ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრამ დიდი ინტერესი გამოიწვია, მის შედეგებზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ ცნობილი სპეციალისტები, მიმომხილველები, კომენტატორები.

გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე რამდენიმე გუნდის მწვრთნელებისა და სპეციალისტთა მოსაზრებებს მომავალ შეჯიბრებათა თაობაზე, თუმცა მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ მწვრთნელები ერთობ ძუნწად, თავშეკავებით ლაპარაკობენ მომავალ შეუპოვარ ბრძოლებზე და, უმთავრესად, მხოლოდ საყოველთაოდ მიჩნეულ შეხედულებათა კონსპექტური გადმოცემით იფარგლებიან.

პარლოს ბილარდო (არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდები, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა გავიდნენ ფინალურ ეტაპზე. ევროპის გუნდებს შორის ძლიერი გუნდები ეყოლებათ გფრ-სა და საფრანგეთს.

პარლოს ალბარტო სილვა (ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): წლეულს ჩილელებს ორჯერ შეეხვედით და ორივეჯერ დამარცხდით, უპირატესობა ამჯერადაც გვექნება. ვენესუელის ნაკრები კი საერთოდ სუსტია.

ანრი მიშელი (საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): შოტლანდიელებისა და იუგოსლავიელების ძალა საყოველთაოდ ცნობილია, ნორვეგიელთა შესაძლებლობებიც კარგად ვიცით, ისინი ევროპის პირველობაზე ჩვენს შესარჩევ ჯგუფში თამაშობდნენ.

მილან მილიანი (იუგოსლავიის ნაკრების ხელმძღვანელი): ერთი რამ ვიცი — ჩვენს შესარჩევ

ჯგუფში უმძაფრესი კონკურენცია იქნება ფინალში გასასვლელად.

გერარდ შტანგა (გერ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ისევ საბჭოთა ნაკრებთან ერთად მოვხვდებით, მაგრამ ამჯერად ჩვენი ჯგუფიდან ერთი კი არა, ორი გამარჯვებული გადის. ეს კარგ პერსპექტივას გვისახავს.

ბობი რობსონი (ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): კვლავ პოლონელებთან ერთად მოგვიწევს თამაში. ეს საქმოდ უსიამოვნო მოგონებებს აღგვიძრავს. ჩვენი ჯგუფი ისეთი თანაბარი ძალის გუნდებისაგან შედგება, რომ ერთი წაგებაც კი ტრაგედია იქნება.

შრანც ბაქენაუარი (გერ-ის ნაკრების ხელმძღვანელი): რა თქმა უნდა, ჯობდა ისეთ ჯგუფში მოხვედრილიყავით, სადაც ხუთი გუნდია და ფინალში ორი მათგანი გადის. მაინც დარწმუნებული ვარ, რომ პოლანდიელებს მოვუგებთ,

ძლიერი გუნდი ეყოლებათ უელსელებსაც. მე შევეცდები მათი უძლიერესი თავდასხმევის პიუზის თვალყურის დევნებას, რომელიც მიუხეხნის „ბაიერის“ შემადგენლობაში გამოდის.

რინუს მიხელსი (პოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის შემდეგ პოლანდიის ნაკრებს ვეთხოვები. მსოფლიო პირველობისთვის ამ გუნდს სხვა მოამზადებს.

ზაბ ბიონტაპი (დანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): დანიის ნაკრები, როგორც ცნობილია, შემტევ ფეხბურთს თამაშობს, მას კი ჯგუფში უპირისპირდებიან გუნდები, რომლებიც შეუპოვარ ღაცვით თამაშს ამჯობინებენ. ჩვენი გუნდი ახლა განახლებისა და გაახალგაზრდადების პროცესს განიცდის, მაგრამ მისი სათამაშო მანერა არ შეიცვლება.

მილტონ პაპაპაოსტოლუ (საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ჩვენი ძნელ ჯგუფში მოვხვდებით, აქ ფავორიტად დანიის ნაკრები ითვლება, თუმცა, ვინ იცის როგორი იქნება იგი ერთი წლის შემდეგ. ბულგარელებთან და რუმინელებთან თამაშად შეგვიძლია წარმატებით თამაში.

ბიუნტარ შნაილარი (გერ-ის ფეხბურთელთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი): იტალიაში მოხვედრა ყველას უნდა. წილისყრის შედეგებით კმაყოფილი ვართ, ჩვენი ჯგუფიდან ფინალში ორი გუნდი გადის. ვინაა გამარჯვების პრეტენდენტი? — სსრ კავშირი, გერ, ავსტრია!

ოლე ნორდინი (შვეციის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): ერთი საფინალო საფურისთვის ერთბაშად სამი გუნდი იბრძობებს: ინგლისის, პოლონეთის და შვეციისა. ინგლისელები კარგ ფორმაში არიან, პოლონეთის ნაკრების ახლანდელ სტილზე და მის ნამდვილ ძალაზე ნაკლები წარმოდგენა მაქვს.



## გაიმაჯრჯვა „ავაზამ“

დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი ფეხბურთში 1974 წელს დაბადებულ ჰაბუკებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სპეციალიზებული სკოლების 15 კოლექტივმა. საინტერესო ასპარეზობა ორ წრედ წარმოართა. პალაქის ჩემპიონის სახელი განათლების სამინისტროს სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გუნდმა „ავაზამ“ მოიპოვა (სკოლის დირექტორი მ. მესხი, სასწავლო ნაწილის გამგე თ. კუბლაშვილი). კარგად ითამაშეს მთელი ჩემპიონატი „ავაზას“ ნორ-

ჩმა ფეხბურთელებმა, მათ 28 თამაშში 53 ქულა მოაგროვეს. 26 გამარჯვება, 1 ფრე და 1 წაგება. გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი (37 ბურთით) ამ გუნდის თავდამსხმელი მ. ნათენაძე გახდა. გუნდის მწვრთნელები არიან ნ. ჩიტაური და რ. მელიქიძე, ისინი რამდენიმე წელია ავარჯიშებენ ნორებს. მათ გუნდში საქართველოს პერსპექტიული მოთამაშეები რაც იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ისინი შემდგომშიც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწევენ.

## 99 მატჩი!

როგორც ცნობილია, 100 და მეტ მატჩს ნაკრებში მხოლოდ ფეხბურთის „ვარსკვლავები“ თამაშობენ. „ასიანთა კლუბის“ წევრების უპირველესი კანდიდატად ითვლება რუმინელი ლადისლავ ბელნი, რომელმაც ნაკრებში 99 მატჩი ჩაატარა. ამრიგად, ამ გუნდის პირველადი საერთაშორისო მატჩი 34 წლის ფეხბურთელისთვის საიუბილეო იქნება.

ეს ის ბელნი გახლავთ, რომლის გოლმა კიევის „დინამოსა“ და ბუქარესტის „სტიაუსა“ მატჩში რუმინელებს სუპერთასი მოუტანა. მონტე-კარლოში გამარჯვების შემდეგ „სტიაუსა“ ტოკიოში საკონტინენტალური თასის დაუფლებასაც შეეცადა. აქ უკვე რუმინელები დამარცხდნენ. ამის მიზეზი, მათი აზრით, ის იყო, რომ სახელგანთქმული ბელნი ტრავმის გამო ამ მატჩში არ თამაშობდა.

რუმინეთის ყველაზე განთქმული ფეხბურთელი 34 წლისაა. აი, რას წერს რუმინეთის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი (იგი ერთდროულად ბუქარესტის „სტიაუსა“ ხელმძღვანელიცაა) ემერის ენეი: „როცა მე მის თამაშს ვაღვივებ თვალს, სწორი ვითხრათ, მავიწყდება, რამდენი წლისაა ბელნი. ლადისლავ მინდორზე ისე ხალსიანად და ენერგიულად მოქმედებს, გეგონებათ, ვილაყას შეეშალა და მის პასპორ-

ტში დაბადების წელი არასწორად ჩაწერა“.

მაინც რა ღირსებები აქვს ლადისლავ ბელნი? — იგი დირიჟორიცაა და გოლეადორიცაა. შესანიშნავად ხელმძღვანელობს თავის პარტნიორებს, თვალყურს ადევნებს და კონტროლს უწყვეტ მათ გადაადგილებას, უზუსტესი გადაცემებით ამარაგებს, როცა საჭიროა, „ცეცხლის ხახზე“ გადის და გოლით ამთავრებს შეტევას. რაც შეეხება საჯარო დარტყმებს, ამის შესახებ ყველაზე უკეთ ვეროპული ნაკრებების მესაჯრეებს მოეხსენებათ...

თავისი პირველი საიუბილეო, 25-ე მატჩი ბელნიმა 1978 წელს ჩაატარა, იუბილე (50 მატჩი ნაკრებში) 1982 წელს იზეიმა. მაშინ ცხადი გახდა, რომ შეიძლებოდა ამ მხრივ რუმინელთა რეკორდის გაუმჯობესება, კერძოდ დინუს (75 მატჩი) რომ ეკუთვნოდა. ეს რეკორდიც მალე „დაეშვა“. დღეისათვის ბელნი უკვე 99 მატჩში ითამაშა და ახლა უკვე მსოფლიო რეკორდს შეუძლია შეუტეოს. 118 მატჩით „ასიანთა კლუბს“ პატრიკ ჯენინგსი უდგას სათავეში. რამდენად რეალურია მასთან მეტოქეობა? — ცხადია, ძნელია, მაგრამ, ცდა ბელნი მონახვერეაო, ნათქვამია.

ვივი თორაძე.

## რატომ თამაშობს გაკარი უარსად?

როგორც ჰამბურგის უერნალი „შტერნი“ მიიჩნევს, უძლიერესი დასავლეთგერმანელი ჩოგბურთელის ბორის ბეკერის შედეგების აშკარა გაუმჯობესების მიზეზები მის მიერ სარეკლამო ბიზნესით გატაცებაში უნდა ვეძებოთ. ახლა ბეკერი ათზე მეტი კონცერტის („ოკო-კოლა“, „პუმა“, „ფილიპსი“, „დოიჩე ბანკი“ და სხვა) პროდუქციის უყუთებს რეკლამას.

## ხელოვნება მსხვირპლს პოითსოვს

ცნობილი ამერიკელი საესტრადო მომღერლის მადონას მეუღლე კინოსმსახიობი მონ ჰენი ამასწინათ საავადმყოფოში თავის სეროლოგიული ტრავმით მიიყვანეს. საქმე ის არის, რომ მას ერთ-ერთ ფილმში მოკრივის როლი უნდა ეთამაშა და გააღწევიდა წინასწარ ევარჯიშა თავისი ცოლის დამცველი ჯგუფის ხელმძღვანელთან, ამ უკანასკნელმა კი, წარსულში ცნობილმა მოკრივემ, გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ ტყუილად როლი უხდიან ხელფასს.

რედექტორი თ. გაჩეილაძე.

ჩემი მისამართი: წერილებსთვის — 380000 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეკრებისთვის — თბილისი, „ლელო“.

„აქაქიის ბალაზონები“ წერილებს განყოფილება — 93-97-55, სამაგია — 93-97-53, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანა“ — 93-97-26, „მარათე“ — 93-97-27.

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცხეტურა წესით საავტორო კორპუსში: ხოშარაულის, 29. 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07294